საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია
დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 1:00 მანეთი

შაბათი, სექტემბრის 24
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სხვისი იმედი ამაოა

შვიდი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც საქართველოს ცხოვრებაში ახალი ძალა შემოიჭრა და ახალი მიზნები შემოიტანა. მართალია, ეს ახალი მიზნები საქართველოსთვის უცნობი არაა,—პირიქით, მათი გავლენის ქვეშ აღიზარდა და გათვითცნობიერდა ჩვენი მშრომელი ხალხი, მაგრამ ეს ხდებოდა თეორიაში. პრაქტიკული ცდა ცხოვრების ახალ საფუძვლებზედ გარდაქმნისა, რომლისკენაც მთელი თავისი არსებით მიისწრაფოდა ახალი საქართველო, საქართველო მშრომელი ხალხისა, და რომელიც რევოლიუციის დღიდანვე დაიწყო, ეხლა ახალ სახეს ღებულობს.

ოთხი წელიწადი მოვანდომეთ დემოკრატიული სახელმწიფოს შენებას მენშევიკების ხელმძღვანელობით და ეხლა გვიხდება მისი საბჭოთა სისტემაზედ გადაკეთება ბოლშევიკების ხელმძღვანელობით. ახალი იყო დემოკრატიული სისტემა საქართველოსათვის; ახალია საბჭოთა სისტემა ისტორიაში.

დემოკრატიული სისტემის გადმოღება ჩვენ შეგვეძლო ევროპის მრავალი სახელმწიფოებისაგან. მისი პრინციპები დიდი ხანია შემუშავებული და განხორციელებულია ბევრ ქვეყნებში; ძველმა და ახალმა ისტორიამ ბევრი მაგალითები იცის ყოველნაირი დემოკრატიისა: დემოკრატია პირდაპირი, დემოკრატია პარლამენტარული და, ასე წარმოიდგინეთ, დემოკრატიული მონარქიაც კი.

საბჭოთა სისტემის მაგალითს კი იძლევა მარტო რუსეთი. არც ერთმა ქვეყანამ, არც ძველმა და არც ახალმა ისტორიამ არ იცის საბჭოთა სისტემა: ის რუსეთის რევოლიუციამ წარმოშვა და რევოლიუციის სახელით შემოვიდა ჩვენში. საბჭოთა სისტემა სრულიად ახალი მოვლენაა კაცობრიობის გრძელ ისტორიაში.

ამიტომ ბუნებრივია, რომ საბჭოთა სისტემას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს თვით იმ წრეშიაც კი, რომელსაც ის ყოველგვარ უპირატესობას აძლევს. ბუნებრივია ისიც, რომ ეს უჩვეულო სისტემა ზოგჯერ შეცდომებს იწვევს. მით უფრო ბუნებრივია, რომ ჩვენში ჯერ ყველაფერი რიგზედ არაა. ყველაფერს დრო უნდა. ცხოვრება თავის გზას გამონახავს. ხალხის ცხოვრება და მართვა-გამგეობის სისტემა ერთი მეორეს ვერ დაშორდება დიდი ხნით. ეს უდავოა.

მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, როგორადაც არ უნდა შეიცვალოს ცხოვრების პირობები და მასთან მართვა-გამგეობის სისტემა, ამ უკანასკნელს მაინც დიდი გავლენა ექნება პირველზედ. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვის ხელშია რეალურად სახელმწიფო აპარატი ამ გარდაქმნის დროს. არის თუ არა ის იმ პირების ხელში, რომელნიც კარგად იცნობენ ჩვენ მშრომელ ხალხს, მის ზნე ჩვეულებას, მის ხასიათს და იციან მისი ენა? უმთავრესად ეს გარემოება იწვევს ჩვენში სამართლიან უკმაყოფილებას.

მაგრამ ვისაც ამ უკმაყოფილების მიზეზის მოსპობა გულწრფელად სურს, იმან თვითონ უნდა მოჰკიდოს ხელი იმ საქმეს, რომელსაც სხვები ვერ აკეთებენ დამაკმაყოფილებლად. არსებულ პირობებში კრიტიკა და განზედ დგომა მიუტევებელი დანაშაულია. აუცილებელია კრიტიკა და საქმის კეთება. რაც უფრო ადრე დაადგება ამ გზას ქართველი მშრომელი ხალხი, რაც უფრო ადრე და ენერგიულად ჩაებმება ის საბჭოთა აღმშენებლობაში და თვითონ მოჰკიდებს ხელს თავის ქვეყნის საქმეებს, მით უფრო ადრე და უკეთ მოხდება ცხოვრების გაუმჯობესება. დროა ეს შევიგნოთ და თავი გავანებოთ ყოვლად უსარგებლო და უილაჯო წუწუნს.

სხვისი იმედი ამაოა.

თმეკა.

## რევოლიუცია და საქართველო

1.

პირველი სიტყვა, რომელიც სოც.-ფედ. სარ. პარტიამ წარმოსთქვა იყო სიტყვა **საქართველო და სოციალიზმი.**

სოციალისტ-ფედერალიზმი საქართველოს გულ-მკერდზედ აღმოცენებული მოძღვრებაა. იგი ქართული ცხოვრების სინამდვილის ანარეკლია, ქართული სულით, ქართული ენერგიით, ქართული მაჯისცემით ჩამოსხმული და შექმნილი. ჩვენი პარტია, როგორც ეროვნულ-სოციალისტური პარტია, ეროვნული და სოციალისტური საზომით უდგება ყოველ კითხვას, რომელიც აღმოცენებულია ცხოვრების წიაღიდან. ჩვენი წმინდათა წმინდა უმაღლესი იდეალი—საქართველოში შრომის სუფევის დამყარებაა. სხვა ყოველივე ამისთვის გვინდა. ამიტომ ვიბრძვით მთელი ჩვენი ძალღონით, შეგნებით, მოქმედებით.

დღის კიდევ არის დარჩენილი არქეოლოგიურ ნაშთად ზოგიერთი პუბლიცისტი, რომელსაც არ ესმის ეროვნული პოლიტიკა, ნაციონალი საკითხი, ეროვნება. ასეთი ხალხი არსებითად არქეოლოგიური ნაშთია, რომელიც ძველი რწმენით, ძველი „მეცნიერებით" არის შეპყრობილი და ვერ გაუგია მეცნიერების წინსვლა, ახალი თეორიები ნაციონალი საკითხის გარშემო, ახალი გაგება ეროვნული პრობლემის და მისი გადაჭრა.

ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ, რომ პოლიტიკის წარმოება სოც.-ფედ. სარ. პარტიას, როგორც ეროვნულ სოციალისტურ პარტიას, შეუძლია, მხოლოდ საქართველოს თვალსაზრისით. ყოველი ჩვენი სიტყვა, ყოველი ჩვენი ნაბიჯი საქართველოს თვალსაზრისიდან უნდა გამოდიოდეს. ეს რასაკვირველია არც პარტიკულიარიზმს ნიშნავს და არც მსოფლიო ძალთა გარეშე დადგომას. პირიქით, ჩვენ, რამდენადაც ფედერალისტები ვართ, იმდენად შეუძლებლად მიგვაჩნია ერთი ერის თუ სახელმწიფოს დამოუკიდებელი პოლიტიკა. მაგრამ ჩვენ საქართველოს თვალსაზრისით უდგებით მსოფლიო ძალთა ანალიზს და საქართველოს ინტერესებს ვარგებთ ისეთ ძალასთან, რომელიც მას მიანიჭებს უფლებათა მაქსიმუმს.

დღეს ბევრი საკითხს უკუღმართად აყენებს და საქართველოს და რევოლიუციას ერთმანეთს უპირისპირებს. მათ ჰგონიათ, რომ საქართველო თუ რევოლიუციის ნიადაგზე დადგა, მას მოელის სრული განადგურება და მოსპობა ამ რევოლიუციის პროცესში. რასაკვირველია ასე საკითხის დასმა ყოვლად შეუძლებელია. ასე აზროვნობა შეუძლია ან პოლიტიკურად უმწიფარს და გულუბრყვილოს, ან შეგნებულად რეაქციონერს, რომელიც თავისი პირადი სულით ყოველი საკითხის გამახინჯებას ცდილობს, რაც რევოლიუციონური მოძრაობისათვის ქვაკუთხედია.

საკითხი მართლაც ასე რომ იყოს დასმული ან რევოლიუცია ან საქართველო, ან სოციალიზმის გამარჯვება ქართველი ერის ძვლებზე ან მისი დამარცხება და საქართველოს არ გადაშენება, ცხადია ყოველი ჩვენგანი ხელს აიღებდა იმ რევოლიუციაზე და იმ სოციალიზმზედ, რომელიც საკუთარი ერის ე. ი. იმ ობიექტის მოსპობას მოითხოვდა, რომლისთვისაც ჩვენ გვინდა ყოველივე მონაპოვარი რევოლიუციისა.

მაგრამ როგორია საქართველოს პრობლემის გადამჭრელი ფაქტორები დღეს ან ახლო მომავალში?

ამას წინეთ ჩვენ ვწერდით (იხ. „სოც.-ფედერალისტი" № 109), რომ ორი შესაძლოება უნდა ვიგულოთ საქართველოს საკითხის გადაწყვეტისათვის. პირველი უნდა იქნეს კაპიტალიზმის გამარჯვების დროს და მეორე რევოლიუციის გამარჯვების დროს.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ კაპიტალისტური ძალის გამარჯვების დროს, საქართველოს პრობლემის გადაწყვეტისათვის ორი საზომი უნდა მივიღოთ. საერთაშორისო უფლება და საქართველოს ეკონომიური სტრატეგიული მდგომარეობა. ეხლა გვინდა მოკლეთ უპასუხოთ ამ საკითხებს რას მიიღებს საქართველო საერთაშორისო უფლების მხრივ?

საქართველო საერთაშორისო უფლებით მიიღებს იმას, რაც მიიღო ტრანსვაალმა, ბელგიამ, ინდოეთმა, ელზას-ლოტარინგიამ, ირლანდიამ და რაც ქონდა მიღებული რევოლიუციამდე, პოლონეთს, ფინლანდიას, საქართველოს სომხეთს, და სხვებს ე. ი. საერთაშორისო უფლებით საქართველო ვერაფერს ვერ მიიღებს.

რას მიიღებს საქართველო თავის სტრატეგიული და ეკონომიური მდგომარეობით? სრულ განადგურებას, ეკონომიურად და პოლიტიკურ მოსპობას, იმპერიალისტური პოლიტიკის ობიექტათ გახდომას, კოლონიალ მდგომარეობას.

კაპიტალისტური ძალის, ანტანტის გამარჯვება ნიშნავს საშინელი რეაქციის გამეფებას, ეს ნიშნავს ისეთ პირობების შექმნას, რომ კვლავ კულტურულ ავტონომიაზე დავიწყოთ ოცნებობა ჩვენ შევიწირეთ ეროვნულ თავისუფლებას, ჩვენ ვეგებით ეროვნული თავისუფლების სიტკბოებას და ერთი წუთითაც ვერ ვენდობით იმ ძალას, რომელიც მთელი თავისი შინაბუნებით, თავისი ტენდენციით, თავისი ისტორიით და მოღვაწეობით პატარა ერთა მონობაზე ემყარება.

დღეს ბევრი ფიქრობს, რომ ბოლშევიზმის დაცემა და საქართველოს აღდგენა სინონიმია. ჩვენ ერთი წუთითაც არ გვსურს ბოლშევიკური ეროვნული პოლიტიკის გამართლება პრაქტიკაში, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს შემცდარი აზროვნების ნაყოფია. როდესაც ბოლშევიზმის დაცემაზე ვლაპარაკობთ, მაშინ ანტანტის გამარჯვებაზე უნდა ვიფიქროთ. წავიდა, ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც სახელმწიფოს ან ქალაქს ქვის გალავანს შემოავლებდენ, რკინის ჭიშკარს დაკიდებდენ და შიგ ვერავინ გამოიხედავდა. დღეს ყოველი ერისა და ყოველი სახელმწიფოს საკითხი საერთაშორისო ძალთა გამარჯვება დამარცხებაზე დამოკიდებული.

მაგრამ რას მისცემს საქართველოს რევოლიუციის გამარჯვება? აქ ბევრი ლაპარაკი არავისთვის არ არის საჭირო. მხოლოდ რევოლიუციას შეუძლია საქართველოს ჭეშმარიტი თავისუფლებისა ნამდვილი დამოუკიდებლობის გამოჭედა. ამიტომ არის, რომ ჩვენ რევოლიუციის ნიადაგზე ვდგევართ და მთელი საქართველოც ამ ნიადაგზე უნდა იდგეს, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს თავისუფლება.

მაგრამ როგორც თავის მიზანში, ისე თავის განვითარების პროცესშიაც რევოლიუცია ერის თავისუფლებას უნდა ემსახურებოდეს. საქმე ის კი არ არის, ხელში წითელი დროშა გვეჭიროს, თავისუფლებას [illegible], ხოლო საქმით სულ სხვას ვემსახურებოდეთ და მონობას ვამტკიცებდეთ. ყოველი მოვლენა უნდა შეფასდეს არა მით, თუ რისი მსურველია მისი მამოძრავებელი სუბიექტი, არამედ მით, თუ როგორია ამ მოვლენის ობიექტური შედეგები.

რას გვპირდება ჩვენ თანამედროვე მოძრაობის ხელმძღვანელები, როგორ სწყვეტენ ისინი ეროვნულ საკითხ?

ხერ. ამილახვარი

## პრესა

გაზ. „კომუნისტის" № 167 ში შემდეგი წერილია მოთავსებული ჩვენი რედაქციის საყურადღებოთ:

**ა ლ ი ა რ ე თ!**

ერთხელ და უკანასკნელად, ვაცხადებ, რომ ფიქრადაც არ მქონია, „ეროვნული საკითხის" გარშემო თქვენთან კამათი გამემართა; მაგრამ მიუხედავად ამისა ყოველთვის ვცდილობდი და ვცდილობ **სისწორით გავიგო თქვენი და თქვენი** თანამშრომელთა აზრი თვით მიმდინარე ცხოვრების მიერ წამოყენებულ კითხვებზე და პარტიულ მოვალეობათ მიმაჩნია ჩემი აზრიც გამოვთქვა ამ კითხვებზე; და თუ თქვენ, როგორც „მოწინააღმდეგე" ჩემ მიერ „თქვენი აზრის გადამახინჯებას" უსაბუთოთ და განზრახ დამწამებთ, მაშინ ამის გამო „უხერხულობა" თქვენ უნდა იგრძნოთ და არა მე. ხოლო თუ თქვენ ამას არ გრძნობთ, ეს იმიტომ, რომ თქვენ თქვენსავე ფურცლებზე დაბეჭდილის აღიარება არ გსურთ.

**ჩემ მიერ მოყვანილ „ციტატაში" თერთმეტი „სიტყვიდან, რვა სიტყვა-სიტყვით უცვლელად თქვენი, მხოლოდ სამი სიტყვა ჩემ მიერ ჩამატებული ზედმიწევნით და სისწორით გამოხატავს იმ აზრს,** რაც თორმეტი სიტყვით გამოთქვით, (ხაზი ჩვენია რედ.).

თუ ამას „მოწინააღმდეგის აზრის დამახინჯება" ჰქვია, მაშინ მიბრძანეთ „ტრიბუნავ": რა ვუწოდოთ იმას, რომ თქვენ ტყავიდან ძვრებით და ყოველნაირი „მანერებით" ცდილობთ მოგვაჩვენოთ, ვითომ თქვენი [illegible] თქვენ სხვანაირად გესმით, ვიდრე მე?!

რ. კ.

ჩვენ მოკ. რ. კ. ჩვენი აზრის გადამახინჯებაში, ე. ი. ყალბის ქმნაში დავიჭირეთ და გამოვუხმაურეთ. ის კი აი როგორ იმართლებს თავს! მე მხოლოთ სამი სიტყვა ჩავუმატე ციტატაში ვითომც და აზრისსისწორით გამოსახატავად... და ამის ჩამდენი არავითარ უხერხულობას არა გრძნობს! პირიქით, ჩვენ გვიტევს: აღიარეთ, გამოტყდით, რომ ეს თქვენი აზრია.. ასეთი საარაკო უტიფრობა რომ ასეთივე უვიცობას თან ახლავს, ეს ბუნებრივია. ჩვენ სავსებით და უცვლელად მოვიყვანეთ ეს იშვიათი დოკუმენტი, რომ ყველასათვის ცხადი იყოს „невменяемость" ავტორისა. ასეთი „პუბლიცისტები" არკვევენ ეროვნულ საკითხს გაზ. „კომუნისტის" ფურცლებზედ.

## ვაშინგტონის კონფერენცია

ამას წინეთ ჩვენ შევეხეთ კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთობას და აღვნიშნეთ, რომ ვაშინგტონის კონფერენცია ვერ განკურნავს იმ იარებს, რითაც დაავადებულია დღეს კაპიტალისტური სამყარო. ეხლა ჩვენ ხელთა გვაქვს ცნობა ვაშინგტონის კონფერენციის პროგრამისა და იგი თავის თავად გამართლებაა ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრების.

ვაშინგტონის კონფერენციაზე მეტად დიდი საკითხებია დასმული. კონფერენციის უმთავრესი ყურადღება განსაკუთრებით სამი საკითხის გარშემო იქნება მიპყრობილი. პირველი საკითხია—გადალახვა ყველა დაბრკოლებებისა რომელნიც იწვევს მსოფლიოს უთანხმოებას, მეორე საერთაშორისო განიარაღება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უარყოფა წყალქვეშა ნავებითა და ჰაეროპლანებით ბრძოლისა და მესამე—„ღია კარების" პრინციპით ხელმძღვანელობა.

ჩვენ არ მოველოდით, რომ ვაშინგტონის კონფერენციაზე ასეთი საკითხები დაისმოდა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ შეთანხმების იმედს უფრო სხვა საფუძველი დაედებოდა და კაპიტალისტური ქვეყნები შეეცდებოდნენ ისეთი ნიადაგის გამონახვას, რომელმაც [illegible] ქიმერა მაინც აშენებოდა. მაგრამ დღეს ვაშინგტონის კონფერენციის საკითხები თავის თავად აშკარავებენ, რომ კაპიტალისტური ქვეყნების ანტაგონიზმი და ინტერესთა წინააღმდეგობა ვერ პოულობს გამოსავალს და მას არ შეუძლია მოწინააღმდეგე ბანაკის მიმართ საერთო პლატფორმით გამოსვლა.

რას გვეუბნება ვაშინგტონის კონფერენციის საკითხები? როგორ მსვლელობას მისცემს იგი კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკას? როგორ ცვლილებას მოახდენს იგი ევროპის პოლიტიკურ ფიზიონომიაზე?

უმთავრესი საკითხის, განიარაღების შესახებ, ცხადია ის სახელმწიფო შესძლებს ლაპარაკს და მის მხარის დაჭერას რომელსაც საკმაო ეკონომიური რესურსები აქვს, რომ ე. წ. „მშვიდობიანი გზით" შესძლოს დაპყრობითი პოლიტიკის წარმოება. ასეთი სახელმწიფო დღეს ერთად ერთია—ამერიკა. მოსალოდნელია, რომ მან მხარი დაუჭიროს განიარაღებას, რადგან მას აქვს მტკიცე გარანტია, რომ იგი „უარაღოდ" შესძლებს ევროპის ამერიკანიზაციას.

ამ შემთხვევაში ევროპის ეკონომიური უძლურება ქმნის იმ მიზეზებს, რომელიც ამერიკას საშუალებას აძლევს „განიარაღებაზე" და „მშვიდობიანობაზე" ილაპარაკოს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამერიკა საქმით არა თუ განიარაღების პოლიტიკას არ აწარმოებს, არამედ შეიარაღებას ისწრაფვის.

ამერიკის პრეზიდენტმა სამხედრო აკადემიის დამთავრებისას ოფიცრებს მეგობრული სიტყვით მიმართა, რომელშიაც სხვათა შორის აღნიშნა, რომ სამხედრო ძალა არის დღეს გადამწყვეტი როლის შემსრულებელი და მიუხედავად მშვიდობიანობაზე ლაპარაკისა, მაინც საჭიროა სამხედრო ძლიერებაზე ზრუნვაო.

ცხადია, რომ სხვა გვარად არც შეიძლებოდა. წარმოუდგენელია, რომ იმპერიალისტური ქვეყანა განიარაღების პოლიტიკას აწარმოებს. მაგრამ დღეს თუ ამერიკას შეუძლია ევროპის მიმართ ასეთი პროექტების წარდგენა, ევროპას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია მისი მიღება. ევროპამ, რომ განიარაღებას შეუდგეს, ეს თავისი ხელით თავისივე ყელის გამოჭრა იქნებოდა, რადგან მხოლოდ იარაღით არის დღეს კაპიტალისტური ევროპის არსებობა შესაძლებელი.

შეუძლებელია აგრეთვე წყალ ქვეშა ნავებითა და ჰაეროპლანებით ბრძოლა იქნეს უარყოფილი მათ მიერ. დღეს, თანამედროვე მილიტარიზმი და მარინიზმი მარტო დედამიწის ზედა პირის გადაწვით კი არ კმაყოფილდება, არამედ იგი ზღვის ძირში და ჰაერშიაც ცეცხლს აჩენს, რომ უფრო მოხერხებულად გაანადგუროს ეს ცოდვილი ქვეყანა.

ინგლისი და საფრანგეთი გასული ომის პროცესში მეტად დაზარალდა დიდი ტრანსპორტების, სუპერ-დრედნოუტების შენებით და პატარა წყალქვეშა ნავების უყურადღებოდ დატოვებით. გამართლდა პერსისკოტის, კამილლა პელტანის და ომის წინასწარმეტყველება წყალქვეშა ნავებითა და ჰაეროპლანებით ომის შესახებ და დღეს ომი ჰაერშიაც და ზღვის ძირშიაც არის გადატანილი. ამიტომ ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ვაშინგტონის კონფერენციამ, ან რომელიმე კონფერენციის დეკრეტებმა შესცვალოს და უკუღმა დაატრიალოს იმპერიალისტური სასაკლაოს განვითარების ტენდენცია.

საერთოდ კაპიტალისტური მეურნეობა თავისი იმპერიალისტური პოლიტიკით ფატალურად მიაქანებს მსოფლიოს ახალ-ახალ დიდ ომებისაკენ და ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ახალი ქვეყნები „განიარაღებას" შეუდგნენ. თავის თავად ვაშინგტონის კონფერენციის მიზნები

ფრიად სიმპატიურია, მაგრამ მას განახორციელებს არა იმპერიალისტური ბურჟუაზია, არამედ მშრომელი ხალხი, რომელთა ბრძოლი მ საფუძვლი უნდა გამოხაროს დღევანდელი ომის მიზეზს—კაპიტალიზმს.

ბურჟუაზიულ ქვეყნების უნიადაგო პოლიტიკური კომბინაციები თავდებია მუშათა კლასის შრომის წყინვალე გამარჯვებისა. კაპიტალისტების კონფერენციები დღეს ვერ პოულობს საერთო ენას და შორს არ არის ის დრო, როდესაც მათ ადგილს მუშათა საბჭოები დაიჭერს და შეასრულებს იმ დიდ კულტურულ მისიას, რომელსაც ვერ შექმნის ვერც ვაშინგტონის კონფერენცია და ვერც ერთა ლიგა.

ვაშინგტონის კონფერენციის უშედეგოდ დასრულებას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

სედი.

## მე-20 საუკუნე

ყველგან ტბები,
ცრემლის ტბები,
სისხლის წვიმა,
სისხლის ზღვები!

ყველგან მკვდრები,
ყველგან ძვლები,
ძვლებზე მინდვრის ყვავ-ყორნები
და ეს ხმები,
გლოვის ხმები,
კუბოები,
საფლავები! —
მშვიდობავ და სათნოებავ,
სად ხარ, სადა,
რად არ ჩნდები?

გ. ქუჩიშვილი.

## ახალი ამბები

— სახელმწიფო ხაოპერო თეატრში სეზონი დაიწყება შაბათს 1 ოქტომბერს, პირველ გახსნაზე დადგმულ იქნება „აბესალომ და ეთერი“, ოპერა ზ. ფალიაშვილის, ავტორის ლოტბარობით, განახლებული დადგმა რეჟისორის ა. რ. წუწუნავასი. 2 ოქტომბერს იქნება დადგმული: „ზღაპრები გოფმანისა“, 4 ოქტომბერს „რიგოლეტო“, 5 ოქტომ. „ევგენი ონეგინი“, 6 ოქტომ. „ბალეტის სპექტაკლი“ მ. მორდკინისა და 7 ოქტ. „პიკის დამა“ წინასწარი გაყიდვა ბილეთების გამოცხადებულ სპექტაკლებზე დაიწყება 24 სექტემბერს.

— სახელმწიფო დრამის თეატრის ქართული აკადემიური დასში თანამშრომლობის მსურველთათვის ოთხშაბათს, 28 ენკენისთვეს დილის 12 საათზე სცენაზე დანიშნულია გამოცდა. მ სურველნი ამ თავითვე უნდა ჩაეწერონ თეატრის კანტორაში და გამოცდაზე გამოცხადდენ დანიშნულ დროსა და ადგილს. თანამშრომელნი მიიღებენ დაწესებულებიდან ულუფას და ჯამაგირს.

— ტფილისის სახელმწიფო აკადემიური ქართული დრამის მსახიობთა საყურადღებოდ ცხადდება, რომ ვინც სამი დღის განმავლობაში არ გამოცხადდება, მათ წინააღმდეგ მიღებულ იქნება რეპრესიული ზომები, ვინაიდგან ზოგიერთი ამხანაგების სამსახურში გამოუცხადებლობა შეუძლებელს ხდის სეზონისათვის მზადებას. აკადემიური თეატრის გამგე ი. ზარდალიშვილი.

— ოქტომბრის პირველი რიცხვებიდან ტფილისში, ქუთაისში, ბათომში და ჭიათურაში გაიხსნება სახელმწიფო დრამატიული სკოლები. მასწავლებლებათ მოწვეულ იქმნებიან საუკეთესო ძალები. სწავლის მსურველნი უნდა ჩაეწერონ ტფილისში სახელმწიფო დრამის თეატრის კანტორაში, ქუთაისში—ხელოვნების მუშაკთა კავშირში, ბათომში—„ოდი“-სთან, ხოლო ჭიათურაში—რევ. კომიტეტთან. დაწვრილებითი ცნობები შემდეგში გამოქვეყნდება.

— კულტურული მუშაობა. განათლების სახალხო კომისარიატმა დაგზავნა რესპუბლიკის ყველა რაიონებში 54 ინსტრუქტორები კულტურული მუშაობის გასაძლიერებლად ფართო წრეებში.

— ყრილობის გადადება. საქართველოს პროფკავშირთა გამგეობის პრეზიდიუმმა დაადგინა გადასდოს სოციალურ-კულტურის კავშირის ყრილობა ოქტომბრის 15-სათვის ზოგიერთი ტეხნიკური დაბრკოლებების გამო.

— ხარწყავი არხის გაყვანა. სექტემბრის 18 კინო-სექციის მიერ გადაღებულ იქმნა მუშაობა, რომელიც სწარმოებს მდ. არაგვიდან წილკნის მინდორზე სარწყავი არხის გასაყვანად. არხი მორწყავს 3000 დესეტინა მიწამდე მცხეთის მიდამოებში. მუშაობა სწარმოებს კომპარტიის წევრების, კურსანტებისა და წითელ არმიის ზოგიერთი ნაწილების დახმარებით. პირველ დღეს გათხრილი იქმნა რამოდენიმე ვერსის მანძილზე ერთი არშინის სიღრმეზე.

— საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოების ყრილობა გაიხსნება პირველ ოქტომბრიდან. გარდა საქ. სამეურნეო საბჭოებისა და უმაღლეს საბჭოს სამხედრო ეკონომიურ განყოფილებისა, მონაწილეობას მიიღებენ უმაღლეს საბჭოს წარმოებითი განყოფილებების სამაზრო პროფბიუროების თითო წარმომადგენლის სახით აგრეთვე საწარმოვო კავშირთა სათანადო ცენტრალური გამგეობებისაგანაც იქნება წარმომადგენელნი.

## რუსეთი

**პეტროგრადი.** 17 სექ. ახლო მომავალში რიგიდან პეტროგრადში მოელიან 500,000 ფუთ სათეს ქერს, დამშეულ გუბერნიებისთვის.

**მოსკოვი.** 13 სექ. სანიტარულ მატარებლებიდან ადგილობრივად დამშეულ ბავშვთა გატვირთვა სასწრაფოდ სწარმოებს. მატარებელი, რომელშიაც 500 ბავში იყო გომელში 24 საათის განმავლობაში გატვირთული იქმნა ზოგიერთ გუბერნიებში აგზავნიან თავიანთ წარმომადგენელთ მატარებლის დასახვედრად. სექტემბერში აზრად აქვთ გაიყვანონ 13.000 ბავშვი 27 მატარებლით, ოქტომბერში 20,000 ბავში 40 მატარებლით.

**მოსკოვი.** 20 სექ. ვოლგის სანაპიროებში სიმშილი ანადგურებს ადგილობრივ პოლიტ. განათლების მუშაობას. სკოლის მეზმკნი დღემდე უზრუნველყოფილი არ არის. ამ ქამად კი ტრაგიკულ მდგომარეობაში იმყოფებიან. მთელი წყება ქალაქის დაწესებულებანი რჩება უმოსამსახუროთ.

## უცხოეთი

**პარიზი.** 17 სექ. ერთა ლიგის სპეციალურმა კომისიამ გადადო ჰუნგრეთის, ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის ერთა ლიგაში მიღება.

**პარიზი.** 18 სექ. მთაშავეთი ენერგიულ პროტესტს აცხადებს მისი ტერიტორიის ოკუპაციის გამო სამ. სლავიაში.

**პარიზი.** 18 სექ. ჩრდილოეთ საფრანგეთში საქსოვ წარმოებათა მუშების გაფიცვა სერიოზულ ხასიათს ღებულობს.

**ნაუენი.** 20 სექ. გერმანული პრესის ცნობით საბჭოთა რუსეთის ახალ წარმომადგენლად ინიშნება კრესტინსკი.

**ნაუენი.** 20 სექ. ინგლისის ვიცეკოროლმა დაამტკიცა გერმანეთის პროექტი კაიროში გერმანეთის გენერალური წარმომადგენლობის დაარსების შესახებ.

**ნაუენი.** 20 სექ. გერმანულ პრესაში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ბეგარას, რომელიც ანტანტის მიერ არის მასზე დადებული. პრესა აღნიშნავს, რომ გერმანეთს სრული გაკოტრება მოელის.

**ხტამბოლი.** 19 სექ. ოსმალეთის პრესის ცნობით ბერძნების უკან დახევის დროს ხელთ ჩაუვარდა მოწინააღმდეგეებს ავტომობილები, იარაღები და სურსათი.

**ნაუენი.** 17 სექ. საბერძნეთში ძლიერი მიწის ძვრაა.

**რომი.** 18 სექ. იტალიის მთავრობამ გადასწყვიტა გაუხსნას წითელ ჯვარს კრედიტი რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად.

**პარიზი.** დასავლეთ ინდოეთში კვლავ იფეთქა ახალმა აჯანყებამ. ცეცხლის გაჩენა და თავდასხმა გრძელდება.

**ათინა.** მტკიცდება შემდეგი გამარჯვებანი ოსმალეთის ჯარებისა ანატოლიაში. ბერძნები განაგრძობენ უკან დახევას.

**კონსტანტინოპოლი.** ფრანგული გემი „სოფი“ დაეჯახა შავ ზღვაზე მცურავ ნაღმს და დაიღუპა.

**ბერლინი.** საფრანგეთის მთავრობამ აცნობა გერმანიას გადაწყვეტილება, რომლითაც მოხდება ანტანტის ჯარების ევაკუაცია საოკუპაციო ნაწილებიდანაც ევაკუაციისათვის მუშაობა უკვე დაწყებულია და გათავდება სექტემბრის თამლევს.

## კახეთის რკინის გზის შესახებ

ამას წინათ პატარა ხნით დასასვენებლად კახეთს გავემგზავრე. სადგურ მელაანს რომ გასცდა მატარებელი კარებ გაღებულ ვაგონის ბაქანზე დავდექი და სულ ძირს ვიყურებოდი. მართლაც და ჩალაუბნის გზა ჯოჯოხეთის მდუღარე ტბაზე გადებულ ბეწვის ხიდს წარმოადგენს. ვაგონის თვლები ვიდრე გაივლის რელსზე დამპილი შპალები, მოლაღებული თავის კალაპოტში, მიწაში ჩადის და მერე ისევ მაღლა ამოიწევს რა წამს ვაგონი გაივლის. ამ ადგილას საუბედუროთ თავქვეა და მიუხედავათ ვაგონების დაჭ ხრაკებისა მაინც საკმაო სისწრაფეს არა არის მოკლებული მატარებელი. სული კბილით გიჭერია: ან ეხლა გადავარდება ვაგონი ან ეხლა.— ამ ფიქრით შეპყრობილი გადასახტომად ვზომავ თვალებით. კახეთიდან, როცა დავბრუნდი მინდოდა გაზეთში მომეთავსებინა შენიშვნა, თუ რა განვიცადე და რას განიცდის კახეთისკენ მოგზაური საზოგადოება, მაგრამ საჭიროთ აღარ დავინახე გაზეთში წერილის მოთავსება, ვინაიდან გავიგე, რომ მთავრობამ უკვე გადასწყვიტა კახეთის რკინის გზაზე მიმოსვლის შეწყვეტა. მართალია სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილია, მაგრამ თუ ყოველ შაბათობით ვაგონების ისეთი დიდი შემადგენლობით გავიდა ხოლმე მატარებელი, როგორც ა. წ. 17 სექტემბრის რიცხვში გავიდა ორმოც ვაგონამდე და თითო ვაგონის ბანებზეც ნემსის კუნწი არ ჩაიგდებოდა, ისე იყო ხალხით დაკუნწლული ვაგონების მთელი შემადგენლობა, მაშინ უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი შეწყვეტა მატარებლების მიმოსვლისა შეწყვეტას კი არ ნიშნავს, პირიქით ორშაბათიდან შაბათამდე მგზავრთა მოგროვებას და ვაგონების ერთი დიდი შემადგენლობით მათი გასტუმრება. 17 სექტემბერს გასული მატარებელი მართლაც და სასწაულებრივად გადარჩენილა უბედურებას. ჩალაუბნის თავდაღმართში გამოცდილ მემანქანეს, რომ დროზე ყურადღება არ მიექცია და წინა ვაგონის ჩანგლიდან აშვებული ორთქლმავალი დროზე უკან არ დაეწია, რომელიც რამდენიმე ნაბიჯით ვაგონებს დაშორდა და ვაგონები და ორთქლმავალი ცალ ცალკე მისრიალებდნენ, ალბად ლებლათ მოსახვევთან ვაგონების მთელი შემადგენლობა უფსკრულში გადავარდებოდა და დიდი უბედურება დატრიალდებოდა.

ამ მატარებელს დაშავებული მგზავრები ჰყავს... საჭიროა ვისგანაც ჯერ არს სათანადო განკარგულების მოხდენა, რათა შაბათობით, რაც შეიძლება მცირე შემადგენლობით გადიოდეს მატარებელი. მე მგონია საკმაო იქნება თხუთმეტ ვაგონამდე მოება მატარებელს და მუშა-მოსამსახურეთა შორისაც დაწესდეს რიგობით მოგზაურობა კახეთისკენ, თორემ ერთხელაც იქნება ეშმაკი თვალებს აახელს და თავის სანატრელ სურათით დასტკბება.

მერი.

## ქართლის სოფლებში

რამოდენიმეჯერ მომიხდა უკანასკნელ დროს ქართლის სოფლებში მოგზაურობა და სამწუხაროდ ამ მოგზაურობამ ჩემზე ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა. უკულტურობა, უცოდინარობა და გამეფებული ინდიფერენტიზმი. ქართლელმა გლეხმა იცის, რომ აი აქ, გვერდზე, რამოდენიმე ვერსის მანძილზე რაღაც სოფელია, მოკვეთეცა ყავს, აქეთ კიდევ მეორე სოფელია, სადაც ხშირად უხდება სიარული, მაგრამ მეზობელ სოფელს იქით რა ხდება, ვინა სცხოვრობს, რას აკეთებს, არა იცის რა და არც თუ ძალიან თავს იწუხებს იცის ისიც, რომ აქამდე ქვეყანაში ვიღაცები ეწეოდნენ თავისკენ ახლა „ბოლშევიკები“, მაგრამ ის კი არა გაეგება რა ვინ საით და რა მიზნებისათვის ეწევა: რევოლიუცია მის წარმოდგენაში ან „ახალთაობაა“, ან კიდევ „არეულობა“ და ამას იმდენად აინტერესებს ეს, რამდენადაც ნავთისა, ფარაოლის ულობისა და მარილის საკითხი. ამ მხრივ კი ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ მისცა რა და ისიც გაიძახის: „საწყალი კაცის საშველი აღარ არის, ჩვენა ვწვალობდით, ჩვენ უნდა ვიწვალოთო“. და ყოველივე ამას ხელის ჩაქნევით ახასიათებს.

უკეთო ყოველივე ამას და გული გიკვდება. როდემდის უნდა იყვეს ასე? როდის უნდა ჩაერიოს გლეხი ქვეყნის ავკარგში, როდის უნდა ისარგებლოს, რევოლიუციის დიდი მონაპოვარი პოლიტიკური თავისუფლებით? რა მიზეზია მათი ასეთი ჩამორჩენისა და უპიროვნობისა?

ქართლის სოფლება ყოველთვის უყურადღებოდ იყო დატოვებული. წელიწადში ერთხელ არ მივა კაცი და არ აუხსნის საქმეს მდგომარეობას, არ ეტყვის ისეთ სიტყვას, რომელიც მას ამ ძილიდან გამოიყვანს და საერთო მშრომელი ხალხის საქმიანობის ფერხულში, ჩაბამს. და ეს ხდება მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულ მომენტს განიცდის, როდესაც ჩვენს ეროვნულ უფლებებს ყოველ ფეხის გადადგმაზე ამუხრად იგდებენ ყოველი გამვლელი გამომვლელი. და ვინ არის პატრონი, ვინ აქცევს ყურადღებას? ყოველივე ეს ქეთდება კომუნიზმის სახელით, კომუნისტების სამოსელით. როდემდის უნდა ქონდეთ ასეთ ავანტიურისტებს უფლება ასე უსირცხვილოთ სთელონ კომუნიზმის იდეა, ას ტალახში ამოსვარონ დიდი რევოლიუციონური მოძრაობა და მშრომელი ხალხის სახელი? ჩვენ ვფიქრობთ ეს სერიოზულ ადმინისტრაციას უნდა იწვევდეს ყოველ გულწრფელ რევოლიუციონერში, და გვიკვირს ძალიან სამაზრო რევკომისა და სხვა დაწესებულებათა უმოქმედობა; ყოველივე ამას ცუდი გავლენა აქვს ქართლის გლეხობის სულიერს მდგომარეობაზე, რომელიც ისედაც დაბეჩავებულია ჯერ გაუნათლებლობისა გამო და შემდეგ საერთო ეკონომიური სიდუხჭირისა გამო ეხლა მაინც უნდა მოეწყოს სოფლად კულტურული მუშაობა ეხლა მაინც უნდა გამოვიყვანოთ ქართველი გლეხი სიღათას ძილისაგან. ეხლა უნდა შევუმსუბუქოთ გლეხს ის დუხჭირი მდგომარეობა, რომელსაც ალევებენ ათასი „მოსარჩლე“ საწყალი ხალხისა და რევოლიუციის სახელს უტეხენ უპასუხისმგებლო საქმიანობით.

ბელადინი.

## მასწავლებელთა ნაკლებობა

განათლების [illegible] ... ლებოდ.

მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ძალა-უფლება განმტკიცდა, სწავლა-განათლების საქმეს მეტი ყურადღება მიექცა. იხსნება პროვინციებში საშუალო სკოლები, ფართოვდება საერთოდ სწავლის საქმე, მაგრამ სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ხსენებულ სკოლებს მასწავლებლები არა ყავთ, რაც დიდათ აფერხებს სწავლის საქმეს. განსაკუთრებით ეს ნაკლი ეტყობა პროვინციის საშუალო სკოლებს, სადაც უმეტესად მასწავლებლობენ კურს დაუსრულებელი და გამოუცდელი სტუდენტები, ხშირად კი პირველი და მეორე კურსისა. წარსულში ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება განათლების სამინისტრომ და დაარსა უნივერსიტეტთან საშუალო სკოლებისათვის მასწავლებელი კურსები, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი დ. უზნაძე და გამოჩენილი პროფესორები და ლექტორები კურსებმა თავის მიზანს მიაღწია და წელს გამოშვებულ იქმნა კარგად მომზადებული ოციოდე კაცი, რომლის მომზადებაც სავსებით ემსახურება დანიშნულებას. თუმცა კურს დასრულებული განაწილებულ იქმნა განათლების უწყებაში, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში და მასწავლებელთა ნაკლულევნება ისეთი დიდია, რომ საჭირო იყო წელსაც მოეწყობილიყო, მაგრამ როგორც გავიგე, წელს კი აღარ დაუნახავთ საჭიროთ ასეთი კურსების მოწყობა რაც სამწუხაროდ უნდა ჩავთვალოთ. პროვინციების საშუალო სკოლები უმასწავლებლოთ რჩება და იმ დროს ვგებულობთ, რომ კურსების არსებობა საჭიროთ აღარ დაინახესო. წელს სწავლა 1 ოკტომბერს იწყება და საჭიროა ეს საკითხი დროზე გადიჭრას და წელსაც უნდა მოეწყოს კურსები, თუ გვინდა მომავალ სასწავლო წელს მაინც აღარ დავტოვოთ პროვინციის საშუალო სკოლები უმასწავლებლოდ. დღეს ბევრს საშუალო სკოლების გამგეს შეხვდებით პროვინციიდან ჩამოსულს, რომელიც ეძებენ მასწავლებლებს თავიანთ სკოლებისთვის და ვერ მოუნახავთ, ვინაიდან ასეთები არ მოიპოვება და მათ უხდებათ გამოუცდელ სტუდენტების მოწვევა სკოლებში. იმედია განათლების კომისარიატი ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს და წელსაც მოაწყობს საშუალო სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსებს და ამით გამოასწორებს იმ დიდ ნაკლს, რომელიც დღეს არსებობს. ამ გარემოებას აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს ვისგანაც ჯერ არს და 1 ოკტომბრიდან უნდა დაარსდეს კურსები საპედაგოგიო ფაკულტეტთან, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევს იგივე პროფესორები და ლექტორები, რომლებიც წარსულ კურსებზე მუშაობდენ. დაყოვნება საქმეს ავნებს და საჭიროა სიჩქარით გადიჭრას ეს საკითხი.

მასწავლებელთაგანი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

**დაიკარგა** ატესტატი № 1000 მოცემული მე-6 ვაჟთა გიმნაზიის მიერ და მეტრიკული აღმოწერილობა № 445.9 ისაკი ივანეს ძე ხინველის სახელზე; გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად.

**დაიკარგა** ბათუმში მგზავრობის დროს აგვისტოს 20 -21 რიცხვებში სტუდენტის ბილეთი მოცემული ტფილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მიერ დავით მელიქისეს ძე სურგულაძის სახელზე, გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად.


სტამბა „ხალხის საქმე“ ...